

კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და ამ კონვენციის ხელმოქმედი სხვა მხარეები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია წევრ სახელმწიფოთა შორის მტკიცე ერთობის მიღწევა,

გააზრებული აქვთ კორუფციასთან ბრძოლისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობა,

ხასხს უსვამენ, რომ კორუფცია წარმოადგენს მთავარ საფრთხეს სამართლის უზენაესობისათვის, დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის, სამართლიანობისათვის და სოციალური თანასწორობისათვის, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის საბაზრო ეკონომიკის სწორ და სამართლიან ფუნქციონირებას,

აღიარებენ კორუფციის სწავლადსხვაგვარ ფინანსურ შედეგებს პიროვნებებზე, კომპანიებზე, სახელმწიფოებზე და ასევე საერთაშორისო ინსტიტუტებზეც,

დარწმუნებულნი არიან სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობაში კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, განსაკუთრებით კი, იმ პირობების სამართლიანი კომპენსირებით, რომლებმაც განიცადეს ზიანი,

იხსენებენ ევროპის იუსტიციის მინისტრთა 19-ე (მაღტა, 1994) და 21-ე (ჩეხეთის რესპუბლიკა, 1997) კონფერენციების რეკომენდაციებსა და დასკვნებს,

მხედველობაში იღებენ კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამას, მიღებულს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1996 წლის ნოემბერში,

მხედველობაში იღებენ ასევე კორუფციული მოქმედებით მიყენებული ზიანის ამნაზღაურებელ საშუალებებზე სამოქალაქო კონვენციის შემუშავების შესაძლებლობის შესწავლას, რაც დამტკიცებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის თებერვალში,

ითვალისწინებენ 1997 წლის 6 ნოემბრის მინისტრთა კომიტეტის 101-ე სესიაზე მიღებულ (97) 24 რეზოლუციას კორუფციასთან ბრძოლის 20 ძირითადი პრინციპის შესახებ და 1998 წლის 4 მაისის 102 სესიაზე მიღებული (98) 7 რეზოლუციას, რომელიც ადასტურებს ნაწილობრივ და გაფართოებულ შეთანხმებას კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შექმნაზე,

იხსენებენ საბოლოო დეკლარაციას და მოქმედების გეგმას, მიღებულს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანათა სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა 2-ე სამიტზე 1997 წლის ოქტომბერში, ქ. სტრასბურგში.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
ზომები რომლებიც უნდა იქნენ მიღებული ქვეყნის შიგნით

მუხლი 1
მიზანი

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავის შიდა სამართალით ეფექტიანი საშუალებები იმ პირებისათვის, რომლებმაც განიცადეს ზიანი კორუფციული მოქმედების შედეგად, ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის ჩათვლით, მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მუხლი 2
კორუფციის განმარტება

ამ კონვენციის მიზნით, “კორუფცია“ ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ქრთამის ან სხვა არასათანადო უპირატესობის ან მისი დაპირების მოთხოვნას, შეთავაზებას, მიცემას ან მიღებას, რაც ხელს უშლის ქრთამის, არასათანადო უპირატესობის ან მისი დაპირების მიძღვრების მოვალეობის ან განსაზღვრული ქცევის სათანადო შესრულებას.

მუხლი 3
ზიანის ანაზღაურება

1. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავის შიდა სამართალით უფლება იმ პირებისათვის, რომლებმაც განიცადეს ზიანი კორუფციული მოქმედების შედეგად, აღძრან სარჩელი ასეთი ზიანის სრულ ანაზღაურებლად.

2. ასეთი ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს მატერიალური ზიანის, შემოსავლის ზარალის და არა-ფულადი ზარალის შედეგად.

მუხლი 4
პასუხისმგებლობა

1. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართალით შემდეგი პირობების არსებობის წინაპირობა, ზიანის ანაზღაურების დასაშვებად:

i მოპასუხემ ჩაიდინა ან დაუშვა კორუფციული მოქმედება, ან წარუმეტებლობა განიცადა მიეღო შესაბამისი ზომები კორუფციული მოქმედების თავიდან ასაცილებლად;

ii მოსარჩელემ განიცადა ზიანი; და

iii მიზეზობრივი კავშირი კორუფციულ მოქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის;

2. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართალით, რომ თუ რამოდენიმე მოპასუხე იქნება პასუხისმგებელი ზიანისათვის ერთი და იგივე კორუფციული საქმიანობისათვის, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ერთად და ცალ-ცალკე.

მუხლი 5
სახელმწიფო პასუხისმგებლობა

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართალით სათანადო პროცედურები იმ პირებისათვის, რომლებმაც განიცადეს ზიანი მისი სახელმწიფო მოხელეების მიერ მათი ფუნქციების განხორციელებისას კორუფციული მოქმედების შედეგად, სახელმწიფოსაგან ანაზღაურების მისაღებად

და არა-წევრ სახელმწიფოს შემთხვევაში კი, ანაზღაურების მხარის შესაბამისი ორგანოებისაგან მისაღებად.

მუხლი 6

დაუდევრობა მოსარჩლის მიერ

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავის შიდა სამართლით ანაზღაურების შემცირება ან არ დაშვება იმ პირობების არსებობისას, თუ მოსარჩლემ თავისი საკუთარი მიზეზით შეიტანა წვლილი ზიანის მიყენებაში ან მის დამძიმებაში.

მუხლი 7

ხანდაზმულობის ვადა

1. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართლით ზიანის ანაზღაურების სასამართლო პროცედურების შეზღუდვა ხანდაზმულობის ვადით, სულ ცოტა სამი წლის ვადის შეზღუდვის დადგენით, რომელიც აითვლება იმის შემდეგ, რაც პირმა, რომელმაც განიცადა ზიანი, შეიცნო ან უნდა შეეცნო ზიანს მიყენების შესახებ ან კორუფციული მოქმედების შესახებ და პასუხისმგებელი პირის ვინაობის შესახებ. თუმცა, ასეთ სასამართლო პროცესუალურ მოქმედებანი არ უნდა იქნას წამოწყებული კორუფციული ქმედების ჩადენიდან სულ ცოტა ათ წლიანი ხანდაზმულობის ვადის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.

2. მხარეთა კანონები, რომლებიც არეგულირებენ ხანდაზმულობის ვადების შეჩერებას ან შეწყვეტას, მართებულობის შემთხვევაში, გამოიყენება 1 პუნქტში მოცემული ვადების მიმართაც.

მუხლი 8

კონტრაქტის მართებულობა

1. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართლით ნებისმიერი იმ კონტრაქტის ან კონტრაქტის დებულების ანუღიერება ან გაუქმება, რომელიც ემსახურება კორუფციას.

2. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართლით კონტრაქტის ყველა მხარეთა შესაძლებლობა უარი თქვან თავიანთ თანხმობაზე, მას შემდეგ რაც აღმოაჩენენ კორუფციულ მოქმედებას და ასევე იმის შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს რათა კონტრაქტი გამოცხადდეს გაუქმებულად, ზიანის ანაზღაურებაზე მათი უფლების შეუღალანაგად.

მუხლი 9

თანამშრომელთა დაცვა

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართლით იმ თანამშრომელთა სათანადო დაცვა უსამართლო სანქციებისაგან, რომელთაც აქვთ საკმარისი საფუძველი კორუფციაზე ეჭვმიტანისა და რომლებიც თავიანთი კეთილი ნებით აცხადებენ მათ ეჭვს პასუხისმგებელი პირებზე და ორგანოებზე.

მუხლი 10

ანგარიშები და აუდიტები

1. ყოველმა მხარემ თავის შიდა სამართალით უნდა მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომები კომპანიების ყოველწლიური ანგარიშების გარკვევით შესადგენის უზრუნველსაყოფად და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის სწორად შესაფასებლად.

2. კორუფციული მოქმედებების თავიდან აცილების თვალსაზრისით, ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავის შიდა სამართალით აუდიტორები, რათა დადგენილ იქნას წარმოდგენილი ფინანსური მონაცემების შესაბამისობა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასთან.

მუხლი 11

მტკიცებულების მოპოვება

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი შიდა სამართალით ეფექტიანი პროცედურები კორუფციული მოქმედებით გამოწვეული სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

მუხლი 12

მიმდინარე ზომები

ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი სასამართლო განკარგულებები, რომლებიც იქნება აუცილებელი კორუფციის აქტით გამოწვეული სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მხარეთა უფლებების და ინტერესების დასაცავად.

თავი II

საერთაშორისო თანამშრომლობა და განხორციელების მონიტორინგი

მუხლი 13

საერთაშორისო თანამშრომლობა

მხარეებმა ეფექტიანად უნდა ითანამშრომლონ იმ შემთხვევებით გამოწვეულ სამოქალაქო სამართალწარმოების საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან, განსაკუთრებით დოკუმენტების გაფორმებასთან, საზღვარგარეთ მტკიცებულების მოპოვებასთან, იურისდიქციასთან, სასამართლო გადაწყვეტილებათა და სამართალწარმოების ხარჯების აღიარება აღსრულებასთან, სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობაზე იმ საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების თანახმად, რომელთა მხარეებაც არიან, ისევე როგორც თავიანთი შიდა სამართალით.

მუხლი 14

მონიტორინგი

კორუფციასთან მებრძოლი სახელწიფოები (GRECO) უზრუნველყოფენ ამ კონვენციის განხორციელების მონიტორინგს მხარეების მეშვეობით.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 15

ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის და იმ არა-წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში. ასეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი თანხმობა ვალდებულებათა აღების შესახებ:

ა) რატიფიკაციასთან, მიღებასთან ან დამტკიცებასთან მიმართებაში ხელმოწერით დათქმების გაკეთების გარეშე, ან

ბ) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მომდევნო ხელმოწერით, ანუ რაც მოჰყვება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.

2. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები დეპონირებულ უნდა იქნეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. კონვენცია ძალაში შევა, პირველი პუნქტის დებულებების შესაბამისად, ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ 14 სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი რატიფიკაციის მომენტისათვის, ავტომატურად განდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

4. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე, კონვენცია ძალაში შევა პირველი პუნქტის დებულებების შესაბამისად ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ მის მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ნებისმიერი ხელმოწერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი რატიფიკაციის მომენტისათვის, ამ მიმართებით ავტომატურად განდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 16

კონვენციაზე შეერთება

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს კონვენციის მონაწილე მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია მოიწვიოს ევროგაერთიანება, ისევე, როგორც ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ კონვენციის შემუშავებაში, რათა ისინი მიუერთდნენ კონვენციას, ევროპის საბჭოს წესდბის მე-45-20 მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობით და მინისტრთა კომიტეტში კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთა ერთსულლოვანი ხმებით.

2. ევროგაერთიანებისა და იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც კონვენციას უერთდებიან ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვენცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივანისათვის მიერთების დოკუმენტის დეპონირებისას დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ევროგაერთიანება და ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უერთდება ამ კონვენციას და რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი მიერთების მომენტისათვის, ავტომატურად განდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 17

დათქმები

არც ერთი დათქმა არ უნდა გაკეთდეს კონვენციის დებულებების მიმართ.

მუხლი 18

ტერიტორიული იურისდიქცია

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დებონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებსაც შეეხება ეს კონვენცია.
2. ნებისმიერ მხარეს უფრო გვიანი თარიღით შეუძლია მიმართოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დეკლარაციით, რომელშიც იგი გააფართოებს ამ კონვენციის მოქმედებას დეკლარაციაში განსაზღვრულ ტერიტორიებთან შედარებით. აღნიშნულ ტერიტორიებთან მიმართებაში კონვენცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი დეკლარაციის მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. ნებისმიერი დეკლარაცია გაკეთებული ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად შეიძლება გამოთხოვილ იქნას უკან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გავზავნით. აღნიშნული შეტყობინება ძალას შეიძენს გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან.

მუხლი 19

სხვა კონვენციებთან და შეთანხმებებთან ურთიერთობა

1. ამ კონვენციას გავლენა არ ექნება სპეციალური ხასიათის სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე უფლებებსა და ღონისძიებებზე.
2. ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მისი დებულებების ხელშეწყობის ან გაძლიერების, ან მასში ჩადებული პრინციპების განხორციელების გაადვილების მიზნით კონვენციის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები.
3. თუ ორ ან მეტ მხარეს უკვე დადებული აქვთ შეთანხმება ან ხელშეკრულება, რომელიც ეხება ამ კონვენციის რეგულირების საგანს, ან ერთმანეთთან დამყარებული აქვთ ურთიერთობა ამ საგანთან დაკავშირებით, ისინი უფლებამოსილი არიან გამოიყენონ ეს შეთანხმებები ან ხელშეკრულებები, ან დაარეგულირონ აღნიშნული ურთიერთობები ამ კონვენციის შესაბამისად, თუ ეს აადვილებს საერთაშორისო თანამშრომლობას.

მუხლი 20

შესწორებები

1. შესწორებები შეიძლება შემოთავაზებულ იქნას ამ კონვენციის ნებისმიერი მხარის მიერ და იგი უნდა მიეწოდოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს და იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ ამ კონვენციას ან მოწვეულნი იყვნენ შეერთებოდნენ მას 15-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.
2. ნებისმიერი შესწორება გადაეცემა სამრთლებრივი თანამშრომლობის ევროპულ კომიტეტს (CDCJ), რომელიც მიაწოდებს თავის შეხადულებას შემოთავაზებულ შესწორებებთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტს.

3. მინისტრთა კომიტეტი განიხილავს CDCJ-ის შემოთავაზებულ შესწორებას და დანაშაულებრიობის პრობლემების ევროპული კომიტეტის შეხედულებას აღნიშნულ დამატებასთან დაკავშირებით და არაწევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდგომ შეიძლება მიიღოს ეს შესწორება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული შესწორების ტექსტი გადაეგზავნება მონაწილე მხარეებს მისაღებად.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შევა მისი მიღების შესახებ ყველა მხარის მიერ გენერალური მდივნის ინფორმირების მომენტიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 21

დავების გადაჭრა

1. ევროპის საბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის ევროპული კომიტეტი (CDCJ) ინფორმირებული იქნება ამ კონვენციის განმარტებისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის წამოიჭრება დავა ამ კონვენციის გამოყენებასა თუ განმარტებასთან დაკავშირებით, ისინი დაავას გადაჭრიან მოლაპარაკების ან სხვა მშვიდობიანი გზით, მათ შორის გადაცემენ დავას სამართლებრივი თანამშრომლობის ევროპულ კომიტეტს (CDCJ), საარბიტრაჟო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება მხარეებისათვის, ან ურთიერთშეთანხმებით საერთაშორისო სასამართლოში.

მუხლი 22

დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების ვაგზავნის გზით შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია.

2. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 23

შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ ამ კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ. რატიფიკაციის, მიერთების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი დოკუმენტის დებონირების შესახებ;

გ. 15-ე და 16-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოქმედების, შეტყობინების ან დაკავშირების შესახებ.

რის დასტურადაც, სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1999 წლის 4 ნოემბერს, ერთ პირად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამტკიცებულ ასლებს გადაუგზავნის ევროპის საბჭოს

ყოველ წევრს და იმ არა-წევრ სახელმწიფოებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შექმნაში, აგრეთვე მასზე შეერთების მოსურნე ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევრო გაერთიანებას.